



საბავშვო ბაღებისათვის



ბილინგვური განათლების შეფასების გზამკვლევი
სკოლამდელი განათლების კვლავობებისთვის და აღზრდის ინსტიტუტებისთვის

ნათია გორგაძე
სამოქალაქო ინსტიტუტებისა და პროფესიონალების ურთიერთობების ცენტრი

თბილისი 2020



გამოცემულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

©სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი

თბილისი 2020

შესავალი.....	4
1. ბილინგვური განათლების თეორიები	6
2. სწავლა-სწავლების შეფასება ზოგადი კონცეფციები	9
3. ადრეული ასაკის განათლების შეფასების თავისებურებები.....	13
4. ბილინგვური განათლების შეფასების თავისებურებები ადრეული ასაკის	17
5. შეფასების პრაქტიკული მაგალითები.....	19
5.1. მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი	19
5.2. დაკვირვება და შიდა საკონტროლო ფურცელი.....	22
5.3. დაკვირვება და გარე დაკვირვების ფურცელი.....	24
5.4. პორტფოლიო.....	26
5.5. მიმდინარე დაკვირვების ჩანაწერის ფორმა	27
5.6. ცალკეული შემთხვევების ჩანაწერების ფორმა	28
5.7. რესურსი მშობლისათვის სახლში დაკვირვების წარმოებისათვის.....	31
5.8. რესურსი მშობლის გამოკითხვისათვის	33
5.9. სხვა რესურსები	35

შესავალი

სკოლამდელი განათლების შეფასების სისტემა განსაკუთრებით კომპლექსურია ბავშვის განვითარების ფაზების, შეფასების ინსტრუმენტების დაგეგმვისას აუცილებელი სიფრთხილიდან გამომდინარე. შეფასება რთულია სტრატეგიების სიმრავლიდან, და შედეგების ინტერპრეტაციის სირთულეებიდან თუ თავისებურებებიდან გამომდინარეც. შესაბამისად, საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება იმის განსაზღვრას, თუ რის შეფასებას ვისახავთ მიზნად. შეფასების კომპლექსურობა და სირთულეები განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება მეორე ენის ინტეგრირების და ბილინგვური განათლების განხორციელების შემთხვევაში, რადგან, ამ დროს გასათვალისწინებელია როგორც ენობრივი განათლებისა და განვითარების სპეციფიკა, არსებული ხედვები და კონცეფციები, ისევე როგორც მეორე ენის სწავლისა და გამოყენების თავისებურებები, რომლებიც მოიცავს როგორც ლინგვისტურ და სოციალურ გარემოსა და მის შესაბამისობას, ასევე ბავშვის ფსიქოლოგიურ მზაობის ფაქტორიც ენის ათვისებისათვის. შეფასებისათვის რეკომენდირებულია სისტემური ხედვის განვითარება, რომელიც გულისხმობს ენობრივი კომპეტენციების მრავალმხრივ და მრავალჯერად შეფასებას. თუ შეფასების სისტემაზე ვისაუბრებთ მთლიანობაში, ამ სისტემის კომპონენტებად შეიძლება მოვიაზროთ შიდა (მასწავლებლის მიერ მართული) და გარე (სწავლა-სწავლების პროცესის ყოვლისმომცველი მონიტორინგი და შეფასება, რომელსაც ახორციელებს კომპეტენტური დამკვირვებელი, მშობელი, კოლეგა მასწავლებელი) შეფასებები. ჩვენთვის საინტერესოა როგორც მასწავლებლის შიდა შეფასების პროცესი, ასევე გარე შეფასებაც. რადგან ერთი მხრივ, აქცენტი მასწავლებლის პროფესიული მზაობის უზრუნველყოფაზე კეთდება ბილინგვური განათლების დასაწერად საბავშვო ჯგუფებში, ხოლო მეორე მხრივ კი, გვჭირდება იმ მოდელებისა და ინსტრუმენტების ცოდნა, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავინახოთ მიღწეული შედეგები, და ამავდროულად მიეხმარება მასწავლებელს მიიღოს ობიექტური შეფასება და უკუკავშირი გაწეულ ძალისხმევასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ამ გზამკვლევაში ვისაუბრებთ შეფასების ორივე მიმართულებაზე.

პირველ თავში მიმოვიხილავთ ბილინგვური განათლების ძირითად თეორიებს, მიმართულებებს. ასევე, მოკლედ ვისაუბრებთ თითოეული მიმართულების

მახასიათებლებზე.

მეორე თავში განხილულია სწავლა-სწავლების შეფასების ზოგადი კონცეფციები, მათი შესაბამისობა ადრეული ასაკის განვითარებასთან.

მესამე თავში ყურადღებას გავამახვილებთ ადრეული განვითარებისა და სკოლამდელი მზაობის შეფასების მიმართულებებზე.

მეოთხე თავში მიმოვიხილავთ იმ კონკრეტულ მიმართულებებს, რომელიც სასკოლო მზაობის კუთხით არის საინტერესო ბილინგვური განათლების კონტექსტში.

გზამკვლევის ბოლო თავში მოცემულია შეფასების კონკრეტული მაგალითები და სანიმუშო ინსტრუმენტები, როგორც გარე, ასევე შიდა შეფასებისათვის. მოცემული მაგალითები განზოგადების და არსებულ სიტუაციაზე მორგების საშუალებას იძლევა.

1. ბილინგვური განათლების თეორიები

ბილინგვიზმი, იგივე ორენოვნება ჩვეულებრივი მოვლენაა თანამედროვე სამყაროში. გლობალიზაციის პერიოდში, უფრო და უფრო მეტია ადამიანი, რომელიც მშობლიური ენის გარდა, მინიმუმ ერთ სხვა ენასაც ფლობს. საქართველოში ბილინგვიზმი და მულტილინგვიზმი საგანმანათლებლო სისტემის ნაწილს წარმოადგენს, სადაც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, მოსწავლეები ინგლისურ ენის დაუფლებას პირველი კლასიდან იწყებენ. საქართველოში ამჟამად 200-ზე მეტი სკოლაა, სადაც სწავლების ენა სომხური ან აზერბაიჯანულია. ამ სკოლებში, მოსწავლეები პირველი კლასიდან არა მხოლოდ ერთი არამშობლიური ენის ათვისებას იწყებენ, არამედ ორის. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების სკოლებში პირველ კლასში მშობლიურ ენაზე კითხვის დაწყებასთან ერთად, მოსწავლეები იწყებენ ქართული, როგორც მეორე ენის და უცხო ენის ათვისებას. შესაბამისად, ადრეული ასაკიდან ორენოვან განათლებას და ამ მიმართულებით სასკოლო მზაობის უზრუნველყოფას, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბავშვების აკადემიური წარმატებისათვის.

გარდა კონკრეტული კონტექსტისა და დიდი მნიშვნელობისა, რომელიც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვების სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებთან არის დაკავშირებული, ბილინგვურ განვითარებას ზოგადი განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან:

- ბილინგვიზმი ხელს უწყობს ანალიტიკური აზროვნებისა და მეტალინგვისტური ცნობიერების განვითარებას;
- ბილინგვალ ბავშვებს უკეთესად შეუძლიათ სიტყვების სემანტიკური მნიშვნელობის დადგენა და მათი გამოყენება მონოლინგვალეებთან შედარებით;
- მონოლინგვალეები უფრო სიტყვის აკუსტიკას აქცევენ ყურადღებას, ვიდრე – მის სემანტიკას (კუმინსი და სვეინი, 1986);
- ბილინგვალეებს საერთო ჯამში, აქვთ უფრო მეტი ლექსიკური მარაგი ორ ენაში, ვიდრე მონოლინგვალეებს;

- მათი ლექსიკური მარაგის მრავალფეროვნება განაპირობებს აზროვნების თავისუფლებას, მოქნილობას, შემოქმედებითობასა და ორიგინალობას;
- ბილინგვალეები უფრო ადვილად ახერხებენ მოთხრობებსა და ისტორიებში კავშირების დანხვას, ისევე, როგორც სხვადასხვა მცნებების მიგნებას, ვიდრე მონოლინგვალეები;
- ბილინგვალეები, სემანტიკური განვითარების ეტაპების თვალსაზრისით, ორ-სამი წლით უსწრებენ მონოლინგვალეებს;
- ბილინგვალეებს უფრო მოქნილი და ანალიტიკური ენობრივი უნარი გააჩნიათ (ბეიკერი 2006).

მოკლედ მიმოვიხილოთ ბილინგვური განათლების რამდენიმე ფორმა და ამ ფორმებთან დაკავშირებული სხვადასხვა ბილინგვური პროგრამის მოდელები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენება და საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით, რესურსებისა და მზაობის შესაბამისად, შესაძლებელია სხვადასხვა საბავშვო ბაღის სპეციფიკას ერგებოდეს.

1. იმერსიული მოდელი - არის ბილინგვური განათლების იმგვარი მოდელი, რომლის თანახმად, სწავლება პირველი ორი წლის განმავლობაში მეორე ენაზე მიმდინარეობს და შემდეგ წლებში, ნელ-ნელა ემატება მშობლიური ენის დატვირთვა.
2. სუბმერსია - უმცირესობის წარმომადგენელი მოსწავლე ენის ცოდნის გარეშე ხვდება კლასში, სადაც სწავლება სხვა ენაზე მიმდინარეობს ან კლასში ყველა ბავშვი უმცირესობას მიეკუთვნება, ხოლო სწავლება უმრავლესობის ენაზე მიმდინარეობს.
3. ბილინგვური განათლება უმცირესობის ენის შესანარჩუნებლად - ასეთი ტიპის განათლებისას, უმცირესობის წარმომადგენელი ბავშვები უმცირესობის ენას, როგორც სასწავლო ენას იყენებენ, მაგრამ საბოლოო მიზანია უმრავლესობისა და უმცირესობის ენებში სრული ბილინგვიზმია. უმრავლესობის ენა - ერთერთი საგანია. ზოგიერთ შემთხვევაში, უმრავლესობის ენაზე რამდენიმე, სხვა საგნების სწავლებაც მიმდინარეობს. ამ მეთოდმა რომ შედეგი გამოიღოს, საჭიროა

საკმაოდ ძლიერი უმრავლესობის ენის მატარებელი გარემოცვა.

4. დუალური ბილინგვური განათლება - სასწავლო პროცესში ორივე ენა გამოიყენება. მათ სისტემატიზაციის გარეშე იყენებენ: მაგალითად, ერთ დღეს რომელიმე საგანს ერთ ენაზე ასწავლიან, ხოლო სხვა დღეს - მეორე ენაზე. ამ შემთხვევაში, ორივე ენა ისწავლება, როგორც სასწავლო საგანი.

2. სწავლა-სწავლების შეფასების ზოგადი კონცეფციები

შეფასება სწავლისა და სწავლების პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. შეფასების ცნება, მისი განმარტებაც მრავალფეროვანია. შეფასება ხორციელდება სუბიექტთან (ბავშვი, მოსწავლე, მასწავლებელი და ა.შ.), სწავლის საგანთან, სწავლის მიმდინარეობასთან, სხვადასხვა მოვლენასთან, პროცესთან და შედეგთან მიმართებით. შეფასების ძირითადი ამოცანაა შესაბამისობის განსაზღვრა წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებთან, კონკრეტულ მოლოდინებთან ან განსაზღვრულ მიზნებთან. თუ შეფასებას შევხედავთ ბავშვების, მოსწავლეების პერსპექტივიდან, „შეფასება არის ინფორმაციის სისტემური შეგროვება და ანალიზი, რათა მოხდეს მსწავლელის სწავლის გაუმჯობესება“ (Stassen et al., 2001). შეფასების ხანგრძლივობაც განსაზღვრებულია კონკრეტული მიზნიდან გამომდინარე. მასწავლებლისათვის, რომელიც ბავშვებთან უწყვეტად მუშაობს, შეფასება წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რომელიც სწავლების პარალელურად მიმდინარეობს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეფასებას ბევრი სხვადასხვა დანიშნულება გააჩნია. ის მოქმედებს ყველა იმ აქტივობასთან, პროცესთან, შედეგსა თუ პროდუქტთან მიმართებით, რომლებიც სწავლა-სწავლებაში ხორციელდება და იქმნება. მიღებული ინფორმაცია წარმოადგენს უკუკავშირს, თუ როგორ უნდა მოხდეს სწავლებისა და სწავლის იმ აქტივობების მოდიფიცირება და/ან გაუმჯობესება, რომლებშიც ბავშვი და მასწავლებელი არიან ჩართულები. უფრო კონკრეტულად, შეფასების მიზნები შემდეგნაირად შეიძლება დავყოთ:

- **პედაგოგიკა:** ბავშვის სწავლის წახალისება უკუკავშირის საშუალებით, ჩვეულებრივ, მისი მოსწრების და მოსალოდნელი შედეგების გასაუმჯობესებლად (ასევე განსაზღვრავს, რას და როგორ სწავლობს ბავშვი);
- **გაზომვა:** აფასებს ბავშვის ცოდნას, გაგებას, უნარებს და შესაძლებლობებს;
- **სტანდარტიზაცია:** უზრუნველყოფს ქულას ან ასაკობრივი განვითარების სტანდარტთან შესაბამისობას. ასევე შეიძლება გამოყენებული იყოს პროგრესის შესაფასებლად;
- **სერტიფიკაცია:** საშუალებას აძლევს საზოგადოებას (მათ შორის მშობელს,

ბაღის ადმინისტრაციას, სკოლის ადმინისტრაციას) იცოდნენ, რომ ბავშვმა მიაღწია იმ შესაბამის მიღწევებს, რომლებიც სასკოლო მზაობის სტანდარტშია ასახული და შესაბამისობაშია სასკოლო განათლების მიღების მოთხოვნებთან.

როგორც ვხედავთ, შეფასებას ბავშვთან მიმართებით, ბევრი სხვადასხვა მიზანი გააჩნია. მეორე მხრივ, ბავშვის შეფასებისათვის, ასევეა საჭირო იმის შეფასება, თუ რამდენად შესაბამისია ის პროგრამა, რომელიც ბავშვისთვის არის დაგეგმილი; რესურსები, რომელიც ბავშვის სწავლა-სწავლების პროცესში გამოიყენება; გარემო, სადაც ბავშვი სწავლობს. ასევე მნიშვნელოვანია იმის შეფასებაც, რამდენად მასწავლებელი მზად არის იმისათვის, რომ ბავშვის სწავლის ამოცანას ეფექტურად უპასუხოს. ასევეა შეფასების ამოცანა იმის გარკვევა, თუ რა დამოკიდებულება გააჩნია მასწავლებელს სწავლების პროგრამასთან, ამოცანებთან და შედეგებთან დაკავშირებით.

ამრიგად, შეფასება კომპლექსური მცნებაა, და მისი დაგეგმვაც მნიშვნელოვან დროს, რესურსებს და კომპეტენციებს მოითხოვს.

ბავშვის შეფასების დროს უნდა გავითვალისწინოთ სწავლის / ათვისების სტილი, რომელიც თითოეულ ადამიანს გააჩნია. გამოყოფენ ოთხ ძირითად სტილს, რომელიც გრძნობათა ორგანოებს უკავშირდება.

- სმენითი
- ვიზუალური,
- კომუნიკაციური
- მოტორული

სმენითი ტიპები (აუდიალი) სწავლობენ ყველაზე უკეთ იმას, რაც ესმით. მაგალითად, მათ კარგად შეუძლიათ მელოდიების დამახსოვრება. სწავლისას ისინი თავისთავს უკითხავენ ახალ სიტყვებს ისინი ხმამაღლა სწავლობენ. ამ სტილისკენ მიდრეკილი ადამიანები თავისთავს ხშირად ელაპარაკებიან. ბავშვებს ძალიან დაეხმარებათ სწავლაში მასწავლებლის მოსმენა, აუდიო მასალები.

მხედველობითი ტიპი (ვიზუალი) ყველაზე უკეთ სწავლობს იმას, რასაც ხედავს.

მისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაციის დანახვა, მოგვიანებით კი წაკითხვა. მოზრდილი, რომელსაც წერა შეუძლია, სწავლისას უამრავ ჩანაწერს აკეთებს. ამ ტიპის ადამიანი ბევრს კითხულობს და ხშირად ოცნებობს ფერებში. ისინი ყველაზე კარგად სწავლობენ სასიამოვნო გარემოში. მას ასევე უყვარს სურათებით, ცხრილებით და ფლემ-ბარათებით სწავლა. ბავშვებთან მუშაობისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ის სიკეთეები, რომელსაც ვიზუალ ბავშვებს მოუტანს ნახატი ფილები, პლაკატები, ბარათები. ასოების გამოსახულებები.

კომუნიკაციურ ტიპს ურჩევნია საუბრები და დისკუსიები. მათ სჭირდებათ სხვებთან ურთიერთობა, ან დიალოგი. ისინი სვამენ უამრავ კითხვას და კარგად სწავლობენ ჯგუფებში. ამ ტიპის ბავშვებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ინტერაქციის საშუალების მიქცევა. მასწავლებელმა უნდა ეცადოს, რომ ესაუბროს მას, მისცეს თანატოლებთან წყვილში ან მცირე ჯგუფში მუშაობის საშუალება. დაუსვას ბევრი კითხვა და წახალისოს მისგან კითხვების დასმა.

კინესტიკი სწავლობს მოძრაობის და ქმედებების საშუალებით. მათთვის მნიშვნელოვანია მეთოდი "სწავლა კეთების საშუალებით" და უნდათ, რომ მაშინვე გამოსცადონ ყველაფერი. მათ მოსწონთ ფიზიკური აქტიურობა. ამ სტილის ბავშვები, მოსმენის დროსაც კი, ფურცელზე ფანქრით რაღაცას ხატავენ. ახალი სიტყვების სწავლისათვის იდეალურ შემთხვევაში, ეს სიტყვა უნდა დახატონ. შემოდგომის შესახებ საუბრისთვის კი, კოლაჟის გაკეთება გამხმარი ფოთლებით ძალიან დაეხმარებათ შემოდგომის შესახებ ინფორმაციის გათავისებაში. ასეთ ბავშვებს ძალიან უყვართ ექსპერიმენტები. სიმღერის ტექსტს ბევრად უკეთ ისწავლიან და გაიგებენ, თუ რიტმში აჰყვებიან, იცეკვებენ ან ხელებით, მიმიკით გამოსახავენ შინაარსს.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რამდენად აქვთ ბავშვებს მიდრეკილება რომელიმე ერთი სტილისაკენ, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ სწავლა არასდროს ხორციელდება მხოლოდ ერთი, რომელიმე სტილით. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო საათი ყველა სტილის გათვალისწინებით დავგეგმოთ. ვსწავლობთ ყველაზე უკეთ მაშინ, როდესაც ჩვენს ყველა გრძნობის ორგანოს ვიყენებთ. ამ დროს ტვინი აქტიურდება სხვადასხვა საშუალებით და კარგად ინახავს ახალ ინფორმაციას. ასეთი მიდგომით, ჩვენ ერთი მხრივ ბავშვების ცოდნის ათვისებას და გააქტიურებას

შევუწყობთ ხელს, ხოლო მეორე მხრივ კი, უკეთ მოვამზადებთ მათ სასკოლო მუშაობისთვის.

3. ადრეული ასაკის განათლების შეფასების თავისებურებები

მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში განხორციელებული კვლევები ცხადყოფს, რომ ადრეული განათლება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ინვესტიციას, როგორც ბავშვის მომავალი აკადემიური, პიროვნული და სოციალური, ასევე საზოგადოების განვითარებისთვისაც. ამასთან კვლევათა შედეგები ცხადყოფს, რომ ადამიანის ტვინი ყველაზე ინტენსიურად სწორედ სკოლამდელ ასაკში ვითარდება. ამდენად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ბავშვი მასტიმულირებელ და უსაფრთხო გარემოში იზრდებოდეს, სადაც ის თავს დაცულად იგრძნობს, საშუალება მიეცემა, განივითაროს სხვადასხვა უნარი და დაიკმაყოფილოს ბუნებრივი ცნობისმოყვარეობა. კვლევის შედეგები ასევე ცხადყოფს იმასაც, რომ ბავშვის კოგნიტურ და ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა და განათლება განუყოფელია ერთმანეთისგან.

ადრეულ ასაკში სწავლის დაწყება ხელს უწყობს სწავლისათვის მზაობას და სწავლაში სამომავლო წარმატებების მიღწევის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს.

სკოლამდელი განათლება წარმოადგენს საგანმანათლებლო სისტემის საფუძველს, რომელმაც ბავშვი უნდა მოამზადოს სასკოლო საფეხურზე სწავლის წარმატებით გასაგრძელებლად. მას რამდენიმე კონკრეტული მახასიათებელი გააჩნია:

1. **განმავითარებელი** - ხელს უწყობს ბავშვის შემეცნებითი უნარების, მსხვილი და ნატიფი მოტორიკის, მეტყველების უნარების და სოციალურ - ემოციური სფეროს განვითარებას, ასევე სკოლისათვის აუცილებელი უნარებისა და ჩვევების ჩამოყალიბებას.
2. **საგანმანათლებლო** - უზრუნველყოფს ბავშვების შემეცნების სტიმულირებას, ცოდნის ფუნდამენტების ჩასახვას და ცხოვრების მანძილზე აუცილებელი უნარების განვითარების პროცესების დაწყებას. ასწავლის ბავშვს „სწავლის სწავლის“ საწყის კონცეფციებს“ და ამზადებს მას შემდგომი საგანმანათლებლო ამოცანებისათვის.

3. **დიაგნოსტიკური** - ხელს უწყობს ბავშვი პრობლემის დროულ გამოვლენას და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვის საშუალებას იძლევა.

4. **ინკლუზიური** - ხელს უწყობს განვითარების სხვადასხვა ტემპისა და განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების სასკოლო მზაობის ჩამოყალიბებას.

თუ შეფასებაზე, როგორც ერთიან სისტემაზე ვისაუბრებთ, შეგვიძლია განვსაზღვროთ რამდენიმე ისეთი ინსტრუმენტიც, რომელთა გამოყენებაც რეკომენდირებულია დაგეგმვის, განხორციელების და შედეგების შეფასებისათვის აღრეული განათლებისა და სასკოლო მზაობის კონტექსტში.

ეს ინსტრუმენტებია:

1. **დაკვირვება და დაკვირვების / საკონტროლო ფურცლები** - კარგად დაგეგმილი დაკვირვება და შესაბამისი ინსტრუმენტი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცემია ბავშვის ქცევის, უნარებისა და ცოდნის დასადგენად.

2. **ცალკეული შემთხვევების (ანეკდოტური) ჩანაწერების გაკეთება** - წარმოადგენს მოკლე, ფაქტუალურ და მნიშვნელოვან ინფორმაციას ნარატივის სახით, რომელიც აჩვენებს ბავშვის განვითარების დინამიკას ქცევისა და უნარების მიმართულებით. ასეთი ჩანაწერები შეიძლება ერთიდან წინადადებიდან რამდენიმეს მოიცავდეს. მაგალითად: „მაია, 5 წლის - აირჩია ბიბლიოთეკის კუთხე და დიდი ხნის განმავლობაში, თითქოს უკითხავდა საბავშვო ზღაპრებს სათამაშოებს. კითხვისას, ხანდახან იყენებდა ქართულ სიტყვებს. შლიდა გვერდებს, აჩვენებდა სურათებს სათამაშოებს და ყველა ჯერზე, დათვს ქართულად მოიხსენიებდა“

3. **მიმდინარე ჩანაწერები** - ჰგავს ცალკეული შემთხვევების ჩანაწერების გაკეთებას ტექნიკით, თუმცა, უფრო გრძელია. დამკვირვებელი აწარმოებს ფოკუსირებულ დაკვირვებას ცალკეულ ბავშვებზე (ჩრდილოვანი დაკვირვება) კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, მაგალითად, ორი საათი, და პროცესშივე აკეთებს მოკლე ჩანაწერებს, რომლებსაც მოგვიანებით შეავსებს მნიშვნელოვანი დეტალებით. ამ ტიპის დაკვირვება მნიშვნელოვანი და სასარგებლოა, რადგან აჩვენებს ბავშვის სოციალური განვითარების, ქცევის, ცოდნის ათვისების მიმართულების და

შესაძლებლობების დინამიკას. ასეთი ჩანაწერები შეიძლება, რომ კონკრეტულად იყოს ფოკუსირებული ერთ მიზანზე, მაგ. მეორე ენის გამოყენება დღის განმავლობაში ან კონკრეტული დავალების შესრულება მეორე ენის საათის განმავლობაში. ჩანაწერები უნდა იყოს ძალიან აკურატული და ზუსტად გადმოსცემდეს ბავშვის მოქმედებებსა და ქცევას.

4. ფორტფოლიო - წარმოადგენს მოხერხებულ და მოქნილ კოლექციას, რომელიც დროთა განმავლობაში იქმნება ბავშვების ნამუშევრებისგან. პორტფოლიო აჩვენებს ბავშვის სწავლისა და განვითარების პროცესს მრავალმხრივად. ამ ტიპის შეფასება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და შესაბამისია სასკოლო მზაობის პროგრამის ფარგლებში, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს, რომ ნამუშევრები სწორედ პროგრამის ჩარჩოს მიხედვით შეაგროვოს, რაც ბავშვის ცოდნის დემონსტრირებას მოახდენს არა მხოლოდ ენობრივი, არამედ საგნობრივი მიმართულებებითაც.

5. სახლში გამოსაყენებელი რეესტრი მშობლებისათვის - როგორც უკვე აღვნიშნეთ, მშობელი, რომელიც განსაკუთრებით არის დაინტერესებული ბავშვის სრულყოფილი, მრავალმხრივი და დინამიური განვითარებით, შეიძლება ძალიან კარგი მოკავშირე იყოს შეფასების პროცესში. თუ მასწავლებელი შეიმუშავებს კარგ ინსტრუმენტს მშობლისათვის სახლში დაკვირვების საწარმოებლად, ასეთი ინსტრუმენტი შეიძლება ძალიან ინფორმაციული რესურსი აღმოჩნდეს ბავშვი ქცევის, თავისებურებების, მზაობის, მიდრეკილებების, ცოდნისა და უნარების შეფასებისათვის. რეესტრი ასევე შეიძლება მოიცავდეს მოკლე კითხვარს მშობლისათვის ღია პასუხებით, რომელიც მშობლის მიერ ივსება.

6. განვითარების სკრინინგი - წარმოადგენს მოკლე, (15-20 წუთიანი), ასაკისა და შინაარსის შესაბამისი მიღწევების გაზომვის ინსტრუმენტების ნაკრებს, რომელიც განვითარების კონტინუუმის პრინციპზე არის დაფუძნებული. სკრინინგი სასარგებლოა ბავშვის განვითარების ჩამორჩენის იდენტიფიცირებისათვის და აჩვენებს დიაგნოსტიკური შეფასების საჭიროებას, რათა მოხდეს დადგენა რამდენად არის მზად ბავშვი ასაკთან მიმართებით. მეორე მხრივ, სკრინინგი შეიძლება კარგად იქნეს გამოყენებული ენობრივი განვითარების შეფასებისათვის და იმ ასპექტების იდენტიფიცირებისათვის, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ.

გზამკვლევაში ვისაუბრებთ ამ ინსტრუმენტებიდან რამდენიმეზე, რომელიც შესაბამისი ადამიანური და სასწავლო რესურსების არსებობის და სკოლამდელი განათლების მზაობის მიხედვით შეიძლება დაინერგოს კონკრეტული მასწავლებლის ან მთლიანად, ინსტიტუციის მიერ.

4. ბილინგვური განათლების შეფასების თავისებურებები ადრეული ასაკის

ენის ათვისების პროცესი ძალიან ძლიერად არის დამოკიდებული, თუ როგორია კონტექსტი, რომელშიც ბავშვი ენას ითვისებს. როდესაც ბავშვი იბადება და იზრდება ოჯახში, სადაც დედა და მამა ორ განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობს, ის „იძულებულია“, დაეუფლოს ორ ენას ერთდროულად. ეს ის წინაპირობაა, რომლის არსებობის შემთხვევაშიც, ბავშვი მცირე ასაკიდანვე ორ ენას ერთდროულად ეუფლება (პირველადი ბილინგვიზმი). ასევე ხშირია ბავშვის ორი ენის ათვისება იმ შემთხვევაში, თუ მას უწევს ისეთ გარემოში ცხოვრება, სადაც ოჯახის გარეთ მას ურთიერთობა სჭირდება სხვა, მისთვის არა პირველ ენაზე. არაფორმალურ სიტუაციებში ნებისმიერი ადამიანისათვის მიზანი ხდება, უპირველეს ყოვლისა, მეორე ადამიანისათვის საკუთარი სათქმელის მნიშვნელობის გასაგებად მიწოდება. ასეთ დროს იწყება შესაბამისი ენის დაუფლება. ასე, მაგალითად, ბავშვი, რომელიც იმყოფება უცხო ქვეყანაში და ცდილობს უცხო ენაზე გააგებინოს ამ ქვეყანაში მცხოვრებ სხვა ბავშვს რაღაც, საკუთარ სათქმელს ბავშვს უზიარებს ნებისმიერი, მისთვის ხელმისაწვდომი ენობრივი კონსტრუქციებით, თუნდაც ენობრივი შეცდომებით. ამ დროს ის ეუფლება მოცემულ უცხოურ ენას. სხვანაირად რომ ითქვას, არაფორმალურ სიტუაციებში სწავლის ინიციატივა მთლიანად ენის შემსწავლელისაგან მოდის, მაშასადამე, იგი თავად მართავს ენის სწავლის/ათვისების პროცესს. სხვაგვარად ხდება ფორმალურ სიტუაციაში. თუ ბავშვი ბაღში ან სკოლაში სწავლობს ენას, ის შეისწავლის ამ ენის ფორმალურ ასპექტებს. განსხვავება ენის სწავლასა და ათვისებას შორის სწორედ ესაა. საბავშვო ბაღში ბავშვებისთვის არაფორმალური სიტუაციის შექმნა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფში / ბაღში არიან ორი ენის მატარებელი ბავშვები. ბავშვები ერთმანეთთან ურთიერთობისათვის იყენებენ ერთმანეთის ენას. ბაღსა და სკოლაში, არაფორმალურ სიტუაციებში, ბავშვი თამაშის გზით თავად მართავს ენის ათვისების პროცესს, თუმცა, ამავდროულად, ნებისმიერ მომენტში შეიძლება იგივე ბავშვი მასწავლებლის მიერ ენობრივად იმართოს. ასეთი შემთხვევა კი უკვე იმის წინაპირობაა, რომ პროცესს ეწოდოს უცხოური ენის სწავლა და არა ათვისება.

ბავშვები, რომლებიც 3-4 წლის ასაკში იწყებენ უცხო ენის შესწავლას, თითქმის ისეთივე სისწრაფით და ეფექტურობით ეუფლებიან სამიზნე უცხოურ ენას, როგორც

ბავშვები, რომლებიც ორენოვან ოჯახებში იზრდებიან და ბუნებრივ გარემოში უხდებათ ორი ენის ათვისება. 3-დან 4 წლამდე პერიოდში ბავშვი ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად დაუფლებული პირველ ენას და შესაბამისად, ორ ენას ერთდროულად ავითარებს. ზოგადად, თუ უცხოური ენის მიწოდება მისთვის სწორედ ამ პერიოდში იწყება, მოცემული ენის ათვისების პროცესი ემსგავსება მეორე ენის ათვისების პროცესს.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, როგორ წარიმართება მეორე ან „შემდგომი ენის ათვისების პროცესი, დიდწილადაა დამოკიდებული იმაზე, რამდენად აქვს ენის შემსწავლელს ძირითადი ცნებები პირველ ენაზე ათვისებული. თუკი, მაგალითად, ბავშვს ესმის „ფერის“ ცნება, ანუ მოცემული სიტყვის შინაარსი (სემანტიკა), უფრო სწრაფად დაისწავლის ფერების სახელწოდებებს მისთვის უცხო ენაზეც, ვიდრე მაშინ, როდესაც მას ჯერ არ აქვს მოცემულ ცნებასთან შეხება. ასეთ შემთხვევაში ბავშვს ერთდროულად მოუწევს უცხო ენაზე ცნების შინაარსობრივი დატვირთვის გააზრება და, ამავდროულად, კონკრეტული ფერის/ფერების დასახელების დასწავლა. მცირეწლოვანი ბავშვები უცხოურ ენას უკეთესად სწავლობენ, იმ კუთხით, რომ ახალ ენაზე აქცენტის გარეშე ლაპარაკობენ და სიტყვებსა და წინადადებებს ფონეტიკურად სწორად წარმოსთქვამენ, რაც დიდებისათვის სირთულეს წარმოადგენს. ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებმა გაიმდიდრონ ლექსიკური მარაგი, და შეძლებისდაგვარად ხშირად ისაუბრონ უცხო ენაზე.

ასევე გასათვალისწინებელია ის ბუნებრივი ინტერესი და მოტივაცია, რომელიც ბავშვებს გააჩნიათ, და რომლის გამოყენება აუცილებელია ენის სწავლის პროცესში. მაგალითად, თუ ბავშვისათვის ენის გამოყენებაა აუცილებელია იმისათვის, რომ მისთვის საინტერესო საქმიანობაში ჩაერთოს, ის ყველანაირად ცდილობს, რომ ქესტიკულაციით, მიმიკით, სხვადასხვა მოძრაობით (არავერბალურად) და, რიგ შემთხვევაში, იმ სიტყვების მარაგის გამოყენებით, რაც გააჩნია, ჩაერთოს თამაშში. შესაბამისად, ინტერესის გაღვიძება ბავშვში, ყველაზე ეფექტური ხერხია, ენის სწავლა-დაუფლების სტიმულირებისათვის. შესაბამისად, მასწავლებელს ბავშვის მოტივაციის გამოყენება ასეთ შემთხვევაში ძალიან კარგად შეუძლია.

5. შეფასების პრაქტიკული მაგალითები

როგორც წინა თავებში აღვნიშნეთ, შეფასებას განსხვავებული ფუნქციები გააჩნია. ადრეული და სკოლამდელი განათლების შეფასება ორი ძირითად მიზნის მატარებელია;

1. მას გააჩნია დიაგნოსტიკური მნიშვნელობა, რათა მოახდინოს ბავშვის განვითარების შესაბამისობის დადგენა ასაკობრივ სტანდარტებთან (საგანმანათლებლო ინსტიტუციების, მაგ. საბავშვო ბაღების შემთხვევაში, იმ სტანდარტებთან, რომელიც ჩამოყალიბებულია ადრეული და სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტის მიერ), ასევე გამოავლინოს ის შეუსაბამობები და სირთულები, რომლებიც შეიძლება არსებობდეს ბავშვის განვითარების სფეროების მიხედვით.
2. მეორე, ასევე უმნიშვნელოვანესი მიზანია, ბავშვის განვითარების / პროგრესის შეფასება და მისი ხელშეწყობა.

ჩვენთვის, ამ სახელმძღვანელოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სწორედ მეორე მიზანია. უფრო კონკრეტულად კი, გვაინტერესებს იმ მიმართულებების, სტრატეგიებისა და ინსტრუმენტების წარმოდგენა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ბავშვების განვითარების შეფასებისა და ანალიზის საფუძველზე საჭიროებაზე მორგებული პროგრამები დავგეგმოთ, არსებული პროგრამები დავაკორექტიროთ და გავამდიდროთ ბავშვის სწავლისათვის და განათლების შემდგომი ნაბიჯებისათვის მაქსიმალურად მომზადებისათვის.

ქვემოთ წარმოდგენილია შეფასების ინსტრუმენტების კონკრეტული მაგალითები, რომლებიც დაეხმარებიან პრაქტიკოს მასწავლებლებს შეაფასონ და დროული რეაგირება მოახდინონ ბილინგვური განათლების გარემოსა და ბავშვების შესაძლებლობებთან ადაპტაციისათვის.

5.1. მასწავლებლის თვითშეფასების კითხვარი

სკოლამდელი დაწესებულება, ბავშვის ოჯახთან ერთად, ის ძირითადი ადგილია, სადაც ბავშვი სწავლობს და ვითარდება. ადრეული ასაკი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვის მრავალმხრივი განვითარებისთვის და დიდ ზეგავლენას ახდენს ბავშვის სამომავლო შესაძლებლობებზე და წარმატებაზე მომავალში.

ამიტომაც, სკოლამდელი განათლება მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვის განვითარების ხელშეწყობაში. საბავშვო ბაღის მასწავლებელი წარმოდგენს იმ ძირითად და ღირებულ რესურსს, რომელზეც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ბავშვის ბილინგვური განვითარება. მასწავლებლის როლი ძალიან აქტუალურია ქართულ კონტექსტში, სადაც ეთნიკური უმცირესობების თემების დიდი ნაწილი კომპაქტურად არის დასახლებული, ნაკლები შეხება აქვს ქართულენოვან მოსახლეობასთან, და შესაბამისად, ძირითადად მოკლებულია შესაძლებლობას იმ გარემოში გაუმჯობესოს კომუნიკაციური ენობრივი კომპეტენციები, რომელშიც ყოველდღიურად არსებობს. სწორედ ამ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, მასწავლებლებისათვის მნიშვნელოვანია, რომ საკუთარი სწავლება რეგულარულად შეაფასონ და განხორციელებულ პრაქტიკაზე რეფლექსიით დაკავდნენ. თერბული (2009) პროფესიონალი მასწავლებლის მახასიათებლებს შორის გამოჰყოფს საკუთარი თავის მართვის უნარს, ფიქრს საკუთარ თავზე, რაც გულისხმობს სწავლების სრულყოფისკენ სწრაფვას, თითოეულ ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომას და თითოეულისგან მაქსიმალური მოლოდინების ქონას. იმისათვის, რომ სწავლება მოვარგოთ ბავშვების ინტერესებს და საჭიროებებს, ჩავუღრმავდეთ საკუთარ პრაქტიკას და ვეძებოთ მისი სრულყოფის გზები, საკმაოდ ეფექტურია პერიოდულად თვითშეფასების კითხვარის შევსება და პასუხების საშუალებით იმ მიმართულებების იდენტიფიცირება, რომლის გაუმჯობესება სწავლების ეფექტურობას განაპირობებს.

ქვემოთ გთავაზობთ კითხვარის ნიმუშს, რომელიც დაგეხმარებათ მოახდინოთ რეფლექსია საკუთარ პრაქტიკაზე, და შესაბამისად, დაგეგმოთ შემდგომი საქმიანობა იმ მიგნებების გათვალისწინებით, რომელსაც თქვენივე პასუხების საშუალებით მიიღებთ.

ყველა ბავშვი სიამოვნებით მონაწილეობს აქტივობებში და ჩართულია სწავლაში	☐
შემიძლია ყველა ბავშვი დავახასიათო ენობრივი განვითარების, შესაძლებლობების და საჭიროებების მიხედვით	☐
პროგრამის შედგენისას, ვცდილობ, რომ წარმოვიდგინო ყველა ბავშვი ცალ-ცალკე და მათი ინტერესის და შესაძლებლობის გათვალისწინებით განვსაზღვრო მოსალოდნელი შედეგები	☐
კონკრეტულ თემაზე მუშაობისას, პირველ რიგში ვსაზღვრავ, რა მთავარ მიზნის და რომელი ამოცანების მიღწევა მინდა ამ თემის ფარგლებში და	☐

რატომ მგონია ეს მიზანი და ამოცანები მნიშვნელოვანი.	
თემატიკაზე მუშაობისას ვცდილობ, რომ მუშაობა ისე დავგეგმო, რომ პროცესი საინტერესო იყოს როგორც ბიჭებისთვის, ისე გოგონებისთვის.	☐
კონკრეტულ თემის ფარგლებში აქტივობების დაგეგმვისას, ვცდილობ ბავშვებს მდიდარი და მრავალფეროვანი რესურსები მივაწოდო.	☐
ახალი სიტყვების სწავლებამდე ვაანალიზებ, რამდენად ლექსიკური ერთეული ნაცნობია ბავშვებისთვის მშობლიურ ენაზე.	☐
დავალებების დაგეგმვისას, ვცდილობ ზუსტად განვსაზღვრო, რომელი დავალება იქნება გამოწვევა ბავშვებისთვის ისე, რომ ძალიან რთული არ იყოს მათთვის და იმედი არ გაუცრუვდეთ.	☐
კონკრეტული თემატიკის დაგეგმვისას, ვცდილობ, დავალებები განვიხილო მშობლიური ენის მასწავლებელთან ერთად, რომ კარგად შევავსო მისი პროგრამა.	☐
პროგრამაზე მუშაობისას, ვცდილობ გავითვალისწინო ბავშვის განვითარების ყველა ასპექტი და ავსახო აქტივობებში.	☐
ბავშვებთან მუშაობისას, ვცდილობ, დავრწმუნდე, რომ ყველამ გაიგო საკითხები.	☐
მე ვცდილობ, მუსიკის მასწავლებელთან ერთად დავგეგმო აქტივობები.	☐
ჩემს პროგრამაში, ბავშვები ენობრივ კომპეტენციებს კონკრეტული მიმართულების საშუალებით აუმჯობესებენ. ამისათვის ვცდილობ ენასთან ერთად ვიმუშავო მათემატიკურ, სამოქალაქო და ეკოლოგიურ ცნობიერებაზე.	☐
ბავშვებს ყოველთვის აქვთ საშუალება ან კონკრეტული დავალება, რომ სახლშიც აქტიურად იმუშაონ ენობრივი კომპეტენციების გაუმჯობესებისათვის.	☐
ყველა საკითხზე მუშაობისას კარგად მახსოვს, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს სიამოვნებდეთ ქართული ენის გამოყენება და უყვარდეთ ჩემი გაკვეთილები	☐

5.2. დაკვირვება და შიდა საკონტროლო ფურცელი

იმისათვის, რომ კარგად გავერკვიოთ, რამდენად შეესაბამება სწავლა-სწავლების შედეგები დასახულ მიზანს, მასწავლებლები დაკვირვებით აგროვებენ ინფორმაციას. ეს შიდა დაკვირვების დონეზე შეფასებაა. შიდა დაკვირვებისას მასწავლებელი ისმენს ბავშვების პასუხებს, აკვირდება მათ ურთიერთობას ერთმანეთთან, ასრულებინებს მათ სხვადასხვა დავალებებს, იმისათვის, რომ გაარკვიოს, თუ რამდენად აღწევს მიზნებს საკუთარ ამოცანებთან მიმართებით. დაკვირვება საშუალებას აძლევს მასწავლებელს დაინახოს, ერთი მხრივ, ბავშვების სწავლის შედეგები, ხოლო მეორე მხრივ კი, შეაფასოს საკუთარი სწავლების მიდგომების შესაბამისობა ბავშვების განვითარების დონესა და შესაძლებლობებთან. დაკვირვების დროს, მასწავლებელს შეუძლია გაანალიზოს როგორც ბავშვების განვითარების დინამიკა და მათ მიერ მიღწეული შედეგები, ასევე ის გარემო, რესურსები, პროგრამა, და როგორც უკვე ვთქვით, სწავლების მიდგომები, რომლებსაც ბავშვებთან მუშაობისას იყენებს. ამავდროულად, მასწავლებელი შეიძლება კონცენტრირებული იყოს ერთ ან რამდენიმე ბავშვზე ან მთელ ჯგუფზე განახორცილოს დაკვირვება. ქვემოთ გთავაზობთ სანიმუშო დაკვირვების ფურცელს, რომლის წარმოება მარტივად შეუძლია მასწავლებელს კონკრეტულ თემატიკაზე მუშაობის პროცესში გამოიყენოს. დაკვირვების ფურცელი შედგება რამდენიმე ნაწილისგან, რომელიც, მუშაობის/სწავლების ამოცანისა და მიზნიდან გამომდინარე, შეიძლება მასწავლებელმა გამოიყენოს სრულად ან კონცენტრირდეს მხოლოდ მის კონკრეტულ ნაწილზე. ამასთან, დაკვირვების ფურცელი საშუალებას იძლევა მოხდეს ბავშვების უნარებისა და ცოდნის შეფასება ჯგუფებად. შესაბამისად, თითოეული შეფასების ნაწილში იწერება ბავშვების რაოდენობა დაკვირვების შედეგების შესაბამისად. დაკვირვების ფურცელი იძლევა საშუალებას დადგინდეს, რამდენად შესაბამისად არის დაგეგმილი საკითხის სწავლება, არის თუ არა მასალა რელევანტური ბავშვების უმრავლესობისათვის.

რაც შეეხება თავად დაკვირვების წარმოებას, მასწავლებელს უნდა ჰქონდეს ფურცელი უშუალოდ მუშაობის პროცესში, და დროდადრო გააკეთოს შესაბამისი მონიშვნა ისე, რომ გაკვეთილის დასრულებისათვის, შეძლოს შედეგების ანალიზი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოცემული დაკვირვების ფურცელი ზოგადია, თუმცა მისი ადაპტირება ადვილად არის შესაძლებელი კონკრეტულ საკითხთან მიმართებითაც.

მთავარია, რომ მასწავლებელმა წინასწარ მოამზადოს დაგეგმილი ამოცანების მიხედვით ინდიკატორები და რუბრიკები.

საკითხი: _____ თარიღი: _____ ბავშვების რაოდენობა: _____ დავალება / ამოცანა: _____				
ზეპირი მეტყველება				
	საუკეთესო	კარგი	საჭიროებს გაუმჯობესებას	შენიშვნა
შინაარსი / პრეზენტაცია				
სტრუქტურა და ორგანიზება გასაგებია				
დრო და ტემპი მისაღებია				
გამოხატვის მანერა მოსწონს				
თვალის კონტაქტს ამყარებს				
გასაგები, მკაფიო დიქცია მისაღებია				
ვიზუალური მასალის გამოყენება მოსწონს				
კითხვითი ცნობიერება				
ხატის/ნახატის დაკავშირება ლექსიკური ერთეულთან				
ნახატის დაკავშირება საწყის ასოსთან				
წიგნის კითხვის პროცესის თვალის მიდევნება				
გვერდების ფურცვლა				
ნახატების / ილუსტრაციების კითხვა				
ნაცნობი საგნების, მოვლენების დასახელება				
შინაარსის ყურადღების მიდევნება				
წერილობითი უნარები				
ასოების მოხაზულობის გამეორების მცდელობა				
ნახატების გაფერადება შესაბამისი ფერებით				
სიტყვების ნახატებით გამოხატულების მცდელობა				
საკუთარი სახელის პირველი ასოს დაწერის მცდელობა				
გააზრების უნარი				
სიტყვების შორის კავშირების დადგენა				
წიგნის ილუსტრაციის შესაბამისად, სიუჟეტის ჩამოყალიბების მცდელობა				
სიტყვის გამოცნობის / პროგნოზირების მცდელობა				
ნაცნობი ისტორიის კითხვისას, აზრის დაბოლოების მცდელობა				
ნაცნობი ისტორიის / ლექსის / სიმღერისას შესაბამისი ჟესტიკულაცია და მიმიკა				
წინადადების დასრულების მცდელობა				
კითხვების დასმა საკითხის გარშემო				
მოსმენა / გაგება				
აკავშირებს მოსმენილ სიტყვას ნახატთან				
გაგებული/მოსმენილის შესაბამისი მოქმედების				

შესრულება				
კითხვის / მოყოლის ყურადღებით მოსმენა				
მათემატიკური უნარების დაკავშირება				
ასოების დათვლა ხელებზე მარტივ სიტყვებში				
გრძნობს გრძელ და მოკლე სიტყვებს შორის განსხვავებას				
იყენებს გეომეტრიულ ფიგურებს სიტყვებთან კავშირში				

5.3. დაკვირვება და გარე დაკვირვების ფურცელი

გარდა მასწავლებლის წარმოებული დაკვირვებისა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი იცნობდეს გარე დაკვირვების მექანიზმსაც. გარე დაკვირვება არის დაკვირვება, რომელსაც გარეშე პროფესიონალი ატარებს. გარე დაკვირვებას შეიძლება სხვადასხვა მიზანი ჰქონდეს. მაგალითად, იყოს მასწავლებლის პროფესიონალური კომპეტენციის დადგენისკენ და/ან დადასტურებისკენ მიმართული შეფასების დონისძიების ნაწილი, გამიზნული იყოს სკოლამდელ ბილინგვურ განათლებაში არსებული პროგრამების სწავლების მიზნობრიობისა და მიზანშეწონილობის შეფასებისაკენ. გარე დაკვირვების უმთავრესი უპირატესობა ის არის, რომ სწავლა-სწავლების პროცესზე დაკვირვებას აწარმოებს განათლების პროფესიონალი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კომპეტენციები და გამოცდილება. დაკვირვების წარმოება მიმდინარეობს ობიექტურად, რაც კარგად წარმოჩინდეს არსებული ტენდენციები, ძლიერი და სუსტი მხარეები მუშაობაში. გარე დაკვირვებას გააჩნია უნარი უფრო კომპლექსური ფორმით განხორციელდეს და ერთდროულად მრავალ ფაქტორსა და კომპონენტს მიაქციოს ყურადღება, რაც შეუძლებელია მუშაობის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში მყოფი მასწავლებლისათვის.

ქვემოთ მოცემულია გარე დაკვირვების სანიმუშო საკონტროლო ფურცელი, რომელიც იძიებს და სწავლობს იმ კონკრეტულ მეთოდებს და სტრატეგიებს, რომელთა არსებობა სწავლა-სწავლების პროცესში ეფექტური მუშაობის ინდიკატორებად განისაზღვრება. იდეალურ შემთხვევაში, გარე დაკვირვებას მოსდევს ანალიზი და უკუკავშირი მასწავლებლისათვის, მისი პროფესიული პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით. როგორც აღვნიშნეთ, საკონტროლო ფურცელი სანიმუშოა, მრავალკომპონენტიანი, და შესაბამისად, მოქნილია ადაპტირებისა და კონკრეტულ საჭიროებაზე მოსარგებად.

ბილინგვური ბადის დაკვირვების ფურცელი	
დამკვირვებელი	დაკვირვება
ბადი:	მასწავლებელზე

მასწავლებელი	
ბავშვების რაოდენობა ჯგუფში	
სასწავლო გარემო	
ოთახში კედლებზე განთავსებულია ანბანის ასოები, რომელიც დაკავშირებულია ხატ-სიტყვებთან	
ოთახში გამოყოფილია ენის კუთხე ხელმისაწვდომი რესურსებით, მაგ. სურათებიანი წიგნები, სურათები ქართულ ენაზე მინაწერებით	
ოთახში სხვადასხვა ნივთზე სახელწოდებები დაწერილია ქართულ ენაზე	
ოთახში განთავსებულია ბავშვების ფოტოები და მიწერილია თითოეულის სახელი	
ოთახში განთავსებულია ბავშვების ნამუშევრები (ნახატები, აპლიკაციები) და მიწერილია თითოეულის სახელი	
გამოყენებული რესურსები	
სახელმძღვანელო / წიგნი	
თვალსაჩინოებები-პლაკატები, ბანერები	
ინდ. ან ჯგუფში სამუშაო მასალები	
ტექნოლოგიები	
აუდიო-ვიდეო მასალები	
მეორე ენის გამოყენება	
მშობლიური ენის გამოყენება	
ენათა მონაცვლეობა	
ნახევრად მშობლიურის, ნახევრად მეორე ენის გამოყენება	
აქტივობები	
მასწავლებელი 1 - ფრაგმენტულია; 2 - მეტ-ნაკლებად თვალსაჩინოა; 3. მკაფიოა	
ენობრივი კომპონენტი	მონიშნეთ შესაბამისი
წარმოადგენს თემატიკასთან მისაღწევ მკაფიო ენობრივი მიზნების გეგმას	
ითვალისწინებს ბავშვის ენობრივ საჭიროებებს და მუშაობას ამ საჭიროებებზე აფუძნებს, ამჩნევს ბავშვების პრობლემატურ ენობრივ ფორმებს და რეაგირებს	
იყენებს თემის შინაარსის და მიზნის შესაბამის ტექსტს ან ლექსიკას, რომელიც ბავშვების ენობრივ კომპეტენციებსა და საჭიროებებზეა მორგებული	
იყენებს ენის გამარტივებულ და საკუთარი აზრის გადმოცემის არავერბალური გამოხატულების ფორმებს საჭიროების შესაბამისად	
იყენებს განსხვავებული დონის ლექსიკას საჭიროებებიდან გამომდინარე	
მუშაობს ბავშვების მცირე ჯგუფებთან მათი განსხვავებული ენობრივი კომპეტენციების გათვალისწინებით	
აწვდის ბავშვებს პრობლემატური ენობრივი ფორმებისა და კონსტრუქციების შესაბამის სწორ ენობრივ ფორმებს;	
თემატური კომპონენტი 1 - ფრაგმენტულია; 2 - მეტ-ნაკლებად თვალსაჩინოა; 3. მკაფიოა	
ცდილობს ყველა ბავშვის ჩართვას და წახალისებს მათ აქტიურობას	
მუშაობს ბავშვებს შორის მცირე ჯგუფებთან თემატური კომპეტენციების გათვალისწინებით	
ხელს უწყობს ბავშვებს შორის კომუნიკაციას	
მიმართავს დავალებებს სხვადასხვა ფორმას	
იყენებს კოგნიტურ და მეტაკოგნიტურ სტრატეგიებს საგნობრივი ცოდნის განვითარებისათვის	
წახალისებს ბავშვებს შორის სამიზნე ენაზე ინტერაქციას	
ბავშვები მუშაობენ მცირე ჯგუფებში	
ავლენენ თანამშრომლობითი მუშაობისთვის მზაობას და შესაბამის უნარებს	
აქვთ თემატიკის საკითხებზე ორიენტირებული აქტიური ინტერაქცია	
ჩართულები არიან ინდივიდუალურ მუშაობაში, ავლენენ მოტივაციას და ინტერესს თემისადმი	
სვამენ კითხვებს	
მოითხოვენ და იღებენ შესაბამის უკუკავშირს მასწავლებლისგან	
ავლენენ შინაარსის გააზრებისათვის დამახასიათებელ თვითდაჯერებულობას	
შეფასება	
მასწავლებელი ამოწმებს, რამდენად გაიგეს ბავშვებმა საკითხი	

მასწავლებელი ამოწმებს, რამდენად გაითავისეს ბავშვებმა თემასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია	
შენიშვნა:	
შენიშვნა:	

5.4. პორტფოლიო

პორტფოლიო შეფასების ეფექტური სახეობაა, რომელიც მასწავლებელს აძლევს უკუკავშირის გაკეთების საშუალებას, ასევე გამოიყენება ბაღის ადმინისტრაციისათვის, ბავშვის მშობლისათვის მიღწევების დასანახად და გასაზომად. ფორტფოლიო ორიენტირებულია ბავშვის განვითარების ანალიზზე და შეფასების გრძელვადიან ეფექტზეა გათვლილი. პორტფოლიო საშუალებას იძლევა დავინახოთ ბავშვის ენობრივი განვითარება დინამიკაში და დავაფიქსიროთ ის პროგრესი, რომელსაც ბავშვი კონკრეტული დროის განმავლობაში აღწევს. ბილინგვური ბაღის ფარგლებში, რეკომენდირებულია, რომ ფორტფოლიო წლის პირველ ნახევარში, მაგალითად პირველი 6 თვის განმავლობაში შეგროვდეს, რადგან ამ შემთხვევაში, ის მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შესაბამისად დაგეგმოს წლის მეორე ნახევრის სასწავლო ამოცანები. რადგან ეს ინსტრუმენტი გამოიყენება რამდენიმე თვის განმავლობაში, ის აერთიანებს ჯგუფში მუშაობისათვის დაგეგმილი და ბავშვების შესრულებული დავალებების არჩეულ ნაკრებს, ე.წ. კოლექციას, სადაც წარმოჩინდება ბავშვის ცოდნა და უნარები სხვადასხვა მიმართულებით. მაგ. ფონოლოგიური ცნობიერების, ლექსიკის, კითხვისწინა მზაობის, ნუმეროლოგიის, ბავშვის ენობრივი და მცნებების ცოდნის კავშირების მიმართულებით. როგორც ვთქვით, ფორტფოლიო შეიძლება გამოყენებული იქნეს ერთი მხრივ, ბავშვის შეფასებისათვის (მაგ. სასკოლო მზაობის, უფრო მაღალი ენობრივი დონის ჯგუფში გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად). ხოლო, მეორე მხრივ - განვითარების, პროგრესის და მიღწევების დემონსტრირებისათვის გარკვეული დროის ფარგლებში, კარგად განსაზღვრული დროის მონაკვეთში. პორტფოლიო

შეიძლება შედგებოდეს სხვადასხვა ტიპის ნამუშევრისგან, როგორებიცაა: სამუშაო ფურცლები, შესრულებული შემოქმედებითი ნამუშევრები, მათემატიკური გადაწყვეტილებები, სკრინინგის შედეგები, ნახატები, სავარჯიშოები, აუდიო და ვიდეო მასალები, მასწავლებლის დაკვირვების ფურცლები. ფორტფოლიოს განხილვა შეიძლება მოხდეს მშობლის ინფორმირების და ადმინისტრაციასთან დემონსტრირებისათვის. შესაძლებელია, სკოლამდელი მზაობის დადასტურების კომპონენტს სწორედ პორტფოლიოს ანალიზი წარმოადგენდეს. ამიტომ, მნიშვნელოვანია, მასწავლებელი სწორად გეგმავდეს პორტფოლიოში მოსათავსებელი ნამუშევრებს იმგვარად, რომ ბავშვის განვითარება მრავალმხრივად და მკაფიოდ იყოს ასახული.

5.5. მიმდინარე დაკვირვების ჩანაწერის ფორმა

მიმდინარე დაკვირვების წარმოება მნიშვნელოვანია ინდივიდუალური ბავშვის ან ბავშვების მცირე ჯგუფის მზაობის დასადგენად, სისუსტეების და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირებისათვის, ბავშვის სწავლის თავისებურებების გასარკვევად. მიმდინარე დაკვირვება გულისხმობს ბავშვის დაკვირვებას ხანგრძლივად, მაგალითად ნახევარი ან სრული დღის განმავლობაში. მიმდინარე დაკვირვების დროს კეთდება ჩანაწერი ყველა იმ მოვლენასთან, მოქმედებასთან და ემოციასთან დაკავშირებით, რომელსაც მნიშვნელოვნად მიიჩნევს მასწავლებელი ბილინგვური განათლების პერსპექტივაში. შესაბამისად, დაკვირვება არ მოიცავს მხოლოდ სწავლა-სწავლების პროცესს, არამედ სხვა საქმიანობისა და აქტივობების დროსაც მნიშვნელოვანია მისი წარმოება. მიმდინარე დაკვირვების დროს არ ხდება ფაქტების მყისიერი ანალიზი, არამედ მხოლოდ კონკრეტული ქმედების აღწერა. ანალიზი მნიშვნელოვანია დაკვირვების დასრულების ეტაპზე, რომ მოხდეს ყველა ჩანაწერის მიმოხილვა და მთლიანობაში აღქმა, რაც საშუალებას იძლევა ბავშვის ცოდნის, უნარების, მზაობის და დამოკიდებულების კომპლექსური ანალიზი განხორციელდეს.

მიმდინარე დაკვირვების მნიშვნელობა დიდია ინდივიდუალური ბავშვების საჭიროებების გასათვალისწინებლად, რადგან, ჩვეულებრივ, ჯგუფებში მუშაობისას, განსაკუთრებით კი, თუ ჯგუფი დიდია, რთულია ბავშვის დონეზე ორიენტირება და

ყველაფრის დამახსოვრება. ამიტომ, შესაძლებელია, რომ მიმდინარე დაკვირვება მოხდეს სასწავლო დაკვირვების, სკრინინგის და დიაგნოსტიკების შემდეგ, როდესაც უკვე გვეცოდინება ბავშვების მოსწრება, შედეგები, და შესაბამისად, უფრო მარტივი განსასაზღვრი იქნება, რომელ ბავშვზეა დაკვირვება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. ქვემოთ მოცემულია დაკვირვების ჩანაწერის ნიმუში, რომელიც წარმოდგენას ქმნის, როგორ შეიძლება მიმდინარე დაკვირვების მარტივ ფორმატში წარმოება. სასურველია, რომ დაკვირვების ანალიზი განხორციელდეს იმ კოლეგასთან ერთობლივად, ვინც კარგად იცნობს ბავშვის შესაძლებლობებს მშობლიურ ენაზე.

მიმდინარე დაკვირვების ჩანაწერი
ბავშვის სახელი: სონა დაკვირვების თარიღი: 24 აპრილი
22 აპრილი კითხვის პროცესში სრულად არის ჩართული. თითოთი მიუთითებს იმ ნახატზე სიუჟეტის მიხედვით. ცდილობს იაქტიუროს, და ყველას დაასწროს კითხვაზე პასუხის გაცემა. პასუხის სწორად გაცემის შემთხვევაში, იწყებს სიხარულისგან ხტუნვას. კარაოკუზე ვერ აჰყვა სიმღერას, რადგან არ იცოდა სიტყვები. პირში უყურებს პირდაპირ მდგომ ბავშვს და ცდილობს სიტყვები პირის მოძრაობის მიხედვით გამოიცნოს. უზოში თამაშისას გარკვეულ სიტუაციებში იყენებს ქართულს ბავშვებთან ურთიერთობაში. სადილობისას კი, ასახელებს იმ საკვებს და პროდუქტებს, რომელთა დასახელებაც ქართულად გვაქვს ნასწავლი. ვერ ახერხებს სიტყვების ასოებად დაშლას და დათვლას, თუმცა ძალიან ცდილობს.

5.6. ცალკეული შემთხვევების ჩანაწერების ფორმა

ცალკეული შემთხვევებს სხვანაირად ასევე ეძახიან ანეკდოტურ ჩანაწერებსაც. ის გულისხმობს ისეთი შემთხვევების დაფიქსირებას, რომელიც შეიძლება, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვნად და საინტერესო იყოს ბილინგვური სწავლის კონტექსტში. ცალკეული შემთხვევების ჩანაწერები შეიძლება გაკეთდეს, როგორც ინდივიდუალურ ბავშვთან მიმართებით, ასევე ჯგუფთან მიმართებითაც, იმ

შემთხვევაში, თუ რომელიმე ბავშვის მოქმედება, საქმიანობა ან ემოცია საინტერესოდ შეიძლება მიიჩნიოთ. ამისათვის, კარგი იქნება, რომ გვექონდეს ცალკეული შემთხვევების ჩანაწერებისათვის გამზადებული ფორმები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ავიღოთ ფურცელი და ჩავიწეროთ სხვადასხვა შემთხვევები. თუ ცალკეული შემთხვევების ჩანაწერებს ვაკეთებთ ჯგუფთან მიმართებით, გარკვეული რაოდენობის ასეთი ჩანაწერები კარგ საშუალებას წარმოადგენს საკუთარი სწავლების პრაქტიკის ანალიზისათვის. ცალკეული შემთხვევების ჩანაწერების წარმოებისათვის შეიძლება ავიღოთ კონკრეტული ვადა, მაგალითად ერთი კვირა. ამ შემთხვევაში, ერთი კვირის განმავლობაში, ვაკეთებთ ჩანაწერებს სხვადასხვა შემთხვევების შესახებ სხვადასხვა ბავშვებთან მიმართებით. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შესაძლებელია, წინასწარ არც იყოს დაგეგმილი ჩანაწერების წარმოება, მაგრამ ზოგადად ვიყოთ დაინტერესებული, რომ ასეთი ჩანაწერები ვაწარმოოთ ანალიზისათვის. მთავარია, რომ საინტერესო შემთხვევების დანახვისას გვახსოვდეს, და გვსურდეს, რომ დავაფიქსიროთ ასეთი შემთხვევები. ქვემოთ მოცემულია ცალკეული შემთხვევების ჩანაწერების ფორმა და ნიმუში, რომელიც, ცხადია, თავისუფლად შეიძლება ადაპტირდეს მასწავლებლის სურვილის და საჭიროების მიხედვით.

ცალკეული შემთხვევის ჩანაწერი

13 მაისი

როდის? ქართული ენის გაკვეთილზე

ვინ? ამინი

ბავშვებთან ერთად ხმამაღლა ვკითხულობდით ჩიტის და მელას ზღაპარს. ამინი საერთო ჯგუფიდან გავიდა, მივიდა წიგნების თაროსთან და ბარათები გამოიღო. შემდეგ კი, პატარა მაგიდასთან დაჯდა და ნახატების თვალიერება დაიწყო. ტუჩებს ამოძრავებდა უხმოდ და ბარათებს ერთი მეორეს მიყოლებით მაგიდაზე აწყობდა. ცოტა ხანში რამდენიმე ბარათით ხელში ჯგუფს შეუერთდა და ზღაპრის კითხვისას, არჩეული ბარათებიდან ასწია მელიას ბარათი.

- „ჩიტი არ არის“ - მითხრა მან ქართულად.

- სად არ არის ჩიტი, ამინ?

- არ არის ჩიტი.

- ბარათებში ვერ იპოვე ჩიტი?

- ბარათებში ვერ ვიპოვე ჩიტი.

- გინდა, სხვა წიგნებში მოძებნო ჩიტის სურათი? ჩვენ კითხვას გავაგრძელებთ.

- რა?

- ჩვენ წავიკითხავთ, შენ იპოვე ჩიტი იქ.

- კარგი

დიდხანს ეძება, ზღაპარი დავასრულეთ, და მერე მოიტანა წიგნი, სადაც ჩიტის სურათი იყო დახატული.

- აი ჩიტი

- ყოჩაღ, გიპოვნია!

- გიპოვნია (ილიძის)

- მე არა, შენ, შენ იპოვე. „მე ვიპოვე“

- „მე ვიპოვე“

ვინ? მაია

მაიამ ფოთოლი გააფერადა ლურჯად. ივამ დაინახა და დასცინა.

„ფოთოლი ლურჯი არ არის!“ რა დახატე?

მაიამ დაიწყო ტირილი. ძლივს დავამშვიდე. არასდროს უტირია

ბავშვებს ვაჩვენე ნახატი ფილმი, სადაც სხვადასხვა ფერის ფოთლებს შორის ლურჯი ფოთლებიც ჩანს და ავუხსენი:

„ბუნებაში ბევრი ფერია. არსებობს ლურჯი, წითელი, ყვითელი, მწვანე, ყავისფერი, ვარდისფერი ფოთლები. ბუნება მდიდარია და ჩვენი ფანტაზიაც მდიდარია. და ეს კარგია“

ცალკეული შემთხვევების ჩანაწერებს ასევე არ სჭირდება მყისიერი ანალიზი. ის მოითხოვს დროს რეფლექსიისათვის, რადგან შეიძლება მისი ანალიზი სხვადასხვა მომენტების დაკავშირებას, პროგრამის მიმოხილვას, ბავშვის სხვა პერიოდის ქცევების გახსენებას საჭიროებდეს. თუმცა, ცალკეული შემთხვევები კარგ საშუალებას იძლევა, საერთო ჯამში დავინახოთ სწავლა-სწავლების პროცესი ან კონკრეტულ ბავშვებთან დაკავშირებით დავსახოთ გეგმები.

5.7. რესურსი მშობლისათვის სახლში დაკვირვების წარმოებისათვის

მშობელი ძალიან მნიშვნელოვანი დასაყრდენია ბავშვის ორენოვანი განათლებისათვის ადრეულ და სკოლამდელი განათლების ფარგლებში. იმ შემთხვევაშიც კი, თუ თავად მშობელი არ ფლობს ან არასაკმარისად ფლობს სამიზნე ენას, (ჩვენს შემთხვევაში, სახელმწიფო, ქართულ ენას), მას მაინც შეუძლია მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი ბავშვის ენობრივ განვითარებას ორი მიმართულებით:

1. ხელი შეუწყობს ბავშვის მშობლიური ენის მიზანმიმართულ, რეგულარულ განვითარებას, რაც აუცილებელი წინაპირობას და დასაყრდენს წარმოადგენს მეორე ენის კომპეტენციების დაშენებისათვის.

2. წახალისოს ბავშვის ენობრივი ჩართულობა მეორე ენის სწავლის პროცესში. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მშობელს ავუხსნათ, თუ როგორ უნდა დააკვირდეს ის ბავშვის ენისადმი დამოკიდებულებას და ქცევას სახლში და დაკვირვების შედეგების ანალიზი მოახდინოს როგორც დამოუკიდებლად, ასევე მასწავლებელთან თანამშრომლობით. პასუხიმგებლობის გრძნობის მქონე მშობლისათვის იმის ახსნა, თუ რამხელა მნიშვნელობა გააჩნია მასწავლებლისა და მშობლის თანამშრომლობას მეორე ენის ათვისებისათვის, შესაძლებელია მისი აქტიური ჩართულობით პროცესებში. ამიტომ, თუ მშობელს შევთავაზებთ, თუ როგორ შეუძლია დააკვირდეს საკუთარი შვილის ენობრივი განვითარების ტენდენციებს, ის აუცილებლად ეცდება, რომ ჩაერთოს ამ პროცესში.

ქვემოთ გთავაზობთ მშობლის დაკვირვების ფურცელს, რომელიც დაგეხმარებათ თქვენ, მასწავლებელს ბავშვის ქცევის, მოტივაციის და პროგრესისაკენ სწრაფვის იდენტიფიცირებაში, ხოლო მშობელს კი, გახდის ინფორმირებულს შვილის ენობრივი გაწაფულობის, განვითარების ტემპისა და ბავშვის ცოდნისა და უნარების იმ მიმართულებების შესახებ, რომლებიც განსაკუთრებით საჭიროებენ მის მხარდაჭერას.

ბავშვის სახელი _____ მშობლის სახელი _____ თარიღი _____	ყოველდღე	კვირაში რამდენჯერმე	კვირაში ერთხელ	იშვიათად
ხელში იღებს წიგნს და „კითხულობს“ ქართულად / მშობლიურ ენაზე				
„უკითხავს“ ან უყვება ისტორიებს სათამაშოებს ქართულად				
ახლობლებთან საუბრის პროცესში, იყენებს ცალკეულ ქართულ სიტყვებს				
ქართულად ესაუბრება საკუთარ თავს				
იმეორებს ქართულ ლექსებს ან სიმღერებს				
ასწავლის ახლობლებს ქართულ სიტყვებს				
ყურადღებას აქცევს ტელევიზორში ქართულ საუბარს				
გთხოვთ, რომ არ გადართოთ ტელევიზორი, თუ ქართულენოვანი გადაცემაა				
ცდილობს სხვა ბავშვებთან, მეზობლებთან ისაუბროს ქართულად				
ბევრს საუბრობს ქართულის გაკვეთილების შესახებ ოჯახის წევრებთან				
კითხულობს მისთვის გაუგებარი სიტყვების მნიშვნელობას				
ითხოვს ქართულ ენაზე წიგნის წაკითხვას				
არკვევს, რატომ არ იციან ქართული ოჯახის სხვა წევრებმა				
დამატებითი კომენტარი: _____ _____ მშობლის შთაბეჭდილები, კითხვები და დამოკიდებულებები: _____				

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მშობლის დაკვირვების ფურცელი მხოლოდ სადემონსტრაციო / სანიმუშოა. მასწავლებელს შეუძლია სწავლის ფორმის, საკუთარი ინტერესის და მშობლის ინტერესის თუ უნარების შესაბამისად დანერგოს კითხვარი და მისი საშუალებით კიდევ უფრო გააუმჯობესოს დამოკიდებულებები და თანამშრომლობა მშობლებთან.

5.8. რესურსი მშობლის გამოკითხვისთვის

როგორც წინა ქვეთავში უკვე ვისაუბრეთ, მშობლის ჩართულობა ბავშვის ენობრივი კომპეტენციების განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. თუ მშობელი მინიმუმ, წაახალისებს ბავშვის მიერ მიზნობრივი ენის გამოყენებას, ეს გავლენას ახდენს არა მხოლოდ ბავშვის დამოკიდებულებაზე ენის მიმართ, არამედ მეტიც, ამაღლებს მის მოტივაციას ენის დაუფლებისათვის. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მშობლის დამოკიდებულებას და ცნობიერებას ბილინგვური განათლების ხელშეწყობისათვის. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი კარგად იცნობდეს ამ დამოკიდებულებებს, და შესაბამისად გეგმავდეს მშობელთან მუშაობას. მშობლის პოზიტიური დამოკიდებულება აისახება მის შვილის ენის სწავლის და გამოყენების ხელშეწყობაში. ქვემოთ მოცემული სანიმუშო კითხვარის გამოყენება მიზანშეწონილია ერთი მხრივ, ენობრივი სიტუაციის გასარკვევად ბავშვების ოჯახებში, ხოლო მეორე მხრივ კი, თავად მშობლის რეფლექსიისთვის იმ მიმართულებებზე, რომლის უზრუნველყოფა მას შეუძლია საკუთარი შვილისათვის, თუ მანამდე ამ მიმართულებით არ უმუშავია.

ბავშვის სახელი _____ ბავშვის წლოვანება _____ გამოკითხული მშობელი/მეურვე _____ თარიღი _____	აბსოლუტად სწორია	მეტწილად სწორია	ნაწილობრივ სწორია	არ ვეთანხმები	კომენტარი
1. მე ან ოჯახის სხვა წევრი სრულყოფილად ვფლობთ ქართულ ენას	☐	☐	☐	☐	(თუ პასუხია დიახ ან ნაწილობრივ ვეთანხმები, დააზუსტეთ: _____)
2. ჩვენს ოჯახს გვაქვს კომუნიკაცია ქართულენოვან მოსახლეობასთან	☐	☐	☐	☐	(თუ სწორია ნაწილობრივ მაინც, დააზუსტეთ: _____)
3. ჩვენ ოჯახში ხანდახან ქართულად ვსაუბრობთ	☐	☐	☐	☐	დააზუსტეთ
4. ჩვენ ოჯახში ხანდახან მაინც ვუყურებთ ან ვუსმენთ ქართულ მედიას	☐	☐	☐	☐	დააზუსტეთ
5. ჩვენ ოჯახში გვაქვს ქართულენოვანი წიგნები ან ჟურნალები	☐	☐	☐	☐	დააზუსტეთ

6. ჩვენ ხშირად ვიძენთ ჩვენი ბავშვისათვის ქართულენოვან საბავშვო ლიტერატურას და/ან აუდიო-ვიდეო მასალებს	☐	☐	☐	☐	დააზუსტეთ
7. ჩვენ ვცდილობთ, ბავშვმა უყუროს საბავშვო გადაცემებს ქართულ ენაზე	☐	☐	☐	☐	დააზუსტეთ
8. ჩვენ ვცდილობთ, რომ ბავშვს სხვადასხვა წყაროდან ესმოდეს ქართული ენა	☐	☐	☐	☐	დააზუსტეთ
9. ჩვენ ვცდილობთ, რომ ბავშვმა სახლში გაიმეოროს ბაღში ნასწავლი მასალა	☐	☐	☐	☐	დააზუსტეთ
10. ჩვენ ვეკითხებით ბავშვს სხვადასხვა სიტყვის მნიშვნელობას ქართულად	☐	☐	☐	☐	დააზუსტეთ
11. ჩვენ ბავშვს აქვს ბევრი საბავშვო წიგნი მშობლიური ენაზე	☐	☐	☐	☐	დააზუსტეთ
12. ჩვენ ვუკითხავთ ბავშვს საბავშვო ლიტერატურას მშობლიურ ენაზე და განვიხილავთ წაკითხულს	☐	☐	☐	☐	დააზუსტეთ
13. ჩვენ გვაქვს გარკვეული შიში, რომ ორი ენის შესწავლა შეაფერხებს ბავშვის მშობლიური ენის ათვისებას	☐	☐	☐	☐	დააზუსტეთ
14. ჩვენ ვცდილობთ, რომ ხელი შევუწყოთ მშობლიური ენის განვითარებას ბავშვთან კომუნიკაციის საშუალებით	☐	☐	☐	☐	დააზუსტეთ
15. ჩვენ ვიცით, რატომ არის მნიშვნელოვანი სახელმწიფო ენის შესწავლა აღრეული ასაკიდან	☐	☐	☐	☐	დააზუსტეთ
16. ჩვენ გვინდა, რომ ბავშვმა შეძლოს სკოლაში ორივე ენაზე თავისუფლად სწავლა	☐	☐	☐	☐	დააზუსტეთ
17. არჩევანის შემთხვევაში, მე პრიორიტეტს მივანიჭებდი ჩემი შვილის ორენოვან სკოლაში სწავლას	☐	☐	☐	☐	დააზუსტეთ
18. მე ვხედავ ჩემი შვილის ენობრივ პროგრესს საბავშვო ბაღში სიარულის პერიოდში	☐	☐	☐	☐	დააზუსტეთ
19. მე მჭირდება, რომ მეტი ინფორმაცია და ცოდნა მეონდეს ბილინგვური განათლების შესახებ ბავშვის მხარდაჭერისათვის	☐	☐	☐	☐	დააზუსტეთ
20. მე ვთანამშრომლობ ჩემი შვილის საბავშვო ბაღის მასწავლებლებთან, რომ შევძლო ჩემი შვილის უფრო ეფექტური მხარდაჭერა ენის სწავლის პროცესში	☐	☐	☐	☐	

5.9. სხვა რესურსები

ქვემოთ მოცემულია დავალებების ნიმუშები, რომლებიც ბავშვების ენობრივი კომპეტენციებისა და კონკრეტული მიმართულების ცნობიერების ინტეგრირების პრინციპებს ითვალისწინებს. დავალებები მარტივად ადაპტირებადი და მოქნილია. მათი შეცვლა და კონკრეტულ ამოცანებზე მორგება სირთულეს არ წარმოადგენს. ამასთან, დავალებები იძლევა საშუალებას, შევაფასოთ ბავშვის ცოდნის დონე და გავაანალიზოთ, მომდევნო სარეკომენდაციო აქტივობების ხასიათი და ფორმა.


გეომეტრიული ლექსიკის განვითარება. ლექსიკური ერთეულების დაკავშირება.

სახელი: _____

თარიღი _____

რა ფერია?

სთხოვეთ ბავშვებს, დაასახელონ თოთოეული ფიგურა. დაუსვით კითხვები ფიგურების ფერების გარშემო. „ეს რა არის? რა ფერია ვარსკვლავი? რომელი ფიგურაა ლურჯი?“



	ფიგურები
1	
2	
3	
4	
5	
6	
7	
8	
9	

	ფიგურები	ფერები
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		
8		
9		

შედარებითი ლექსიკა. დიდის და პატარას მცნებები

სახელი: _____

თარიღი _____

სთხოვეთ ბავშვებს, თითოეულ მწკრივში იპოვონ ყველაზე დიდი და პატარა საგანი. მზაობის შემთხვევაში, შეგიძლიათ ბავშვებს ასევე აახსნევინოთ რომელი ყველაზე პატარა საგანია შუაში.

რომელია ყველაზე დიდი?







რომელია ყველაზე პატარა?







სწორი პასუხები


1	
2	
3	
4	
5	
6	

სიტყვების პრაქტიკაში გამოყენება. სხვადასხვა ჯგუფის სიტყვების ურთიერთდაკავშირება

სახელი: _____

თარიღი _____

სთხოვეთ ბავშვებს, რომ ფრთხილად შემოავლონ ფანქრით კონტური თითოეულ რიცხვს. შემოვლებამდე, დაასახელეთ თითოეული რიცხვი. უფრო მაღალი ენობრივი კომპეტენციების ჯგუფში შეიძლება კონტურის შემოვლებისათვის კონკრეტული ფერის გამოყენება სთხოვოთ ბავშვებს „მოდით, წრე შევაფერადოთ წითელი ფანქრით“ და ა.შ.



სწორი პასუხები

	ფიგურები
1	
2	
3	
4	
5	
6	
7	
8	


	ფიგურები	ფერები
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		
8		

ნუმეროლოგიის და ენის ინტეგრირება. მათემატიკური საბაზისო ცოდნის გააქტიურება და შესაბამის ლექსიკასთან დაკავშირება

სახელი: _____

თარიღი _____

სთხოვეთ ბავშვებს, რომ ფრთხილად შემოავლონ ფანქრით კონტური თითოეულ რიცხვს. შემოვლებამდე, დაასახელეთ თითოეული რიცხვი. უფრო მაღალი ენობრივი კომპეტენციების ჯგუფში შეიძლება კონტურის შემოვლებისათვის კონკრეტული ფერის გამოყენება სთხოვოთ ბავშვებს „მოდით, სამიანს შემოვავლოთ წითელი ფანქარი“და ა.შ.



სწორი პასუხები:

	რიცხვები
1	
2	
3	
4	
5	
6	
7	
8	
9	

სწორი პასუხები და სწორი ფერები

	რიცხვები	ფერები
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		
8		
9		

ლექსიკა და ფონოლოგიური ცნობიერება / საგნისა და ენის ინტეგრირებული სწავლება (ენა და მათემატიკა)

სახელი: _____

თარიღი _____

სთხოვეთ ბავშვებს, რომ დაასახელონ ფურცელზე მოცემული ცხოველები რიგრიგობით. თუ ბავშვები სწორად ასახელებენ ცხოველების სახელებს, მაშინ შეიძლება უფრო გავართულოთ დავალება და ვთხოვოთ ბავშვებს, რომ დათვალონ ასოები, რომლებიც თითოეული ცხოველის სახელშია მოცემული. სთხოვეთ ბავშვებს, რომ გადახაზონ იმდენი უჯრა, რამდენი ასოც არის თითოეული ცხოველის სახელში.

აქლემი							
შველი							
ლომი							
ძროხა							
სპილო							
ცხენი							
ძაღლი							
კატა							
ბაყაყი							

სწორი პასუხები

სწორი სახელები	ასოების რაოდენობა	სწორად შემოხაზული უჯრების რაოდენობა
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		
8		
9		

ლექსიკა და ფონოლოგიური ცნობიერება

სახელი: _____


თარიღი _____

სთხოვეთ ბავშვებს, რომ დაასახელონ სურათზე მოცემული საგნების სახელები. თუ ბავშვები სწორად ასახელებენ საგნებს, შეიძლება სთხოვოთ, რომ დაასახელონ კონკრეტული რიცხვით გამოხატული საგანი. „რა არის მესამე ნახატზე?“. გართულებული ვარიანტი, სთხოვოთ ბავშვებს, რომ დაასახელონ ის საგანი, რომელიც იწყება რომელიმე ასოზე და გააფერადონ შესაბამისი ნახატი. „რომელ ნახატზეა საგანი, რომელიც იწყება ასო „ბ“-ზე?“. აბა გააფერადეთ ის სურათი, რომელიც იწყება „ბ“-ზე.

სწორი პასუხები

სწორი სახელები	რიცხვების ცნობიერება	ლექსიკური ერთეულების დაკავშირება ასოსთან
1		
2		
3		
4		
5		
6		
7		
8		
9		
10		
11		
12		

1.




2.



3.




4.



5.




6.



7.




8.



9.



10.



11.



12.




ლექსიკა, მოსმენა და გაგება

სახელი: _____

თარიღი _____

სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ კარგად შეხედონ სურათს და აუხსენით, რომ ეს არის ბიჭი. ამ ბიჭს ჰქვია ბობო. უთხარი, რომ ბობო მიდის სკოლაში. ახლა კი, სთხოვეთ, რომ გააფერადონ შესაბამისი ფერით დასახელებული საგნები.



ბობოს თმა შავია.
ბობოს პერანგი წითელია.
ბობოს შარვალი ლურჯია.
ბობოს წიგნი ყავისფერია.
ბობოს ფეხსაცმელი ყვითელია.

სწორი პასუხები

სწორი საგნები	სწორი ფერები
1	
2	
3	
4	
5	

ლექსიკა, მოსმენა, გააზრება

სახელი: _____

თარიღი _____

სთხოვეთ მოსწავლეებს, რომ კარგად შეხედონ სურათებს. დაასახელეთ ზმნები, და სთხოვეთ, რომ შემოხაზონ ის სურათი, სადაც დასახელებული მოქმედება არის დახატული. „ზინას ძინავს“, სწორად დასახელების შემთხვევაში „ზინა წევს“. თუ ბავშვებს ფონოლოგიური ცნობიერება კარგად აქვთ განვითარებული, შეგიძლიათ, ზმნები ნელა, ბგერა-ბგერა გამოთქვათ, და სთხოვოთ, შემოხაზონ ის ასოები, რომელიც ორიდან უფრო „გრძლად“ ან „მოკლედ“ ესმით დასახელებულ მოქმედებებში.



ჭრის
დებს

მიდის
უჭირავს



ჭამს
სვამს

კითხულობს
სწავლობს



თამაშობს
მირბის

ძინავს
წევს



დგას
იღიმის

უყურებს
ზის



სწორი პასუხები








სწორად დასახელებული პირველი მოქმედება	სწორად შემოხაზული მოქმედება
1	
2	
3	
4	
5	
სწორად დასახელებული მეორე მოქმედება	სწორად შემოხაზული მოქმედება
1	
2	
3	
4	
5	

ლექსიკა და გააზრება

სახელი: _____

თარიღი _____

სთხოვეთ ბავშვებს, დაასახელონ სურათზე მოცემული ტრანსპორტის სახეობები. სწორად დასახელების შემთხვევაში სთხოვეთ, შეაერთონ თითოეული სახეობა მოძრაობისათვის შესაბამის გარემოსთან. ჰკითხეთ ბავშვებს, (მას შემდეგ, რაც დაასახელებენ მაგ. გემს), სად ცურავს გემი? სწორად დასახელების შემთხვევაში, სთხოვეთ, შეაერთონ გემი წყლის სურათთან.



სწორი პასუხები


სწორად დასახელებული ტრანსპორტის სახეობა	სწორად დასახელებული ტრანსპორტის მოძრაობის გარემო
1	
2	
3	
4	

ლექსიკა და გააზრება

სახელი: _____

თარიღი _____

სთხოვეთ ბავშვებს, დაასახელონ სურათზე მოცემული საგნები და ნივთები. სწორად დასახელების შემთხვევაში სთხოვეთ, შეაერთონ ის საგნები და ნივთები, რომლებიც ერთმანეთთან არიან დაკავშირებული. სწორად დაკავშირების შემთხვევაში, სთხოვეთ ბავშვებს, რატომ დააკავშირეს ნივთები და საგნები ერთმანეთთან.



სწორი პასუხები



სწორად დასახელებული საგნების/ნივთების სახეობა	სწორად დაკავშირებული ნივთები/საგნები
1	1
2	2
3	3
4	4
5	
6	
7	
8	

ლექსიკა და ფომენტური ცნობიერება

სახელი: _____

თარიღი _____

სთხოვეთ ბავშვებს, დაასახელონ სურათზე მოცემული საგნები და არსებები. სწორად დასახელების შემთხვევაში სთხოვეთ, იპოვონ საგნისა და არსებობის აღმნიშვნელი სიტყვა. ამისათვის ჰკითხეთ ბავშვებს, რა ასოდან იწყება დასახელებული საგანი / არსება. სთხოვეთ ბავშვებს, იპოვონ დასახელებული ასო სიტყვების ბანკში.



სთხოვეთ, უპოვონ ასო სიტყვის დასაწყისში. სთხოვეთ, თითოეულზე დათველონ ასოები და შეეცადეთ ლოგიკურად მიხვდნენ ბავშვები, რომელია სწორი სიტყვა.

სიტყვების ბანკი

ზარი	საათი	დოლი	ბურთი
თაგვი	ჩანთა	მთვარე	მზე
ფული	წიგნი	კარაქი	ვარსკვლავი

სწორი პასუხები

სწორად დასახელებული საგნების/ნივთების სახეობა	სწორად დაკავშირებული სიტყვები
1	1
2	2
3	3
4	4
5	5
6	6

გამოყენებული ლიტერატურა

Best coloring pages http://bestcoloringpages.com/search-find-write-and-cross-it_2d61.html

გოდუაძე, მ., ბილინგვური სწავლების რამდენიმე თავისებურება, ინტერნეტ-გაზეთი „მასწავლებელი“, 29 იანვარი 2019, <http://mastsavlebeli.ge/?p=20331>

გორგაძე, ნ., შეფასება უმაღლესი განათლების საფეხურზე, საქართველოს გაეროს ასოციაციის პროგრამის ინტეგრაციის, ტოლერანტობისა და ცნობიერების წახალისების ფარგლებში, სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი, 2020

თერნბული, ჯ., პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი, პრაქტიკული გზამკვლევი პროფესიული წარმატებისთვის, Continuum International Publishing Group, მთარგმნელი თეო ნეფარიძე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2009

მამესწარაშვილი, ს., ბახტაძე, მ., ბანძელაძე, თ., წულუკიძე, თ., ხოჯანაშვილი, ლ., არასრულწლოვანთა დაკითხვის/გამოკითხვის ფსიქოლოგიური ასპექტები, სასწავლო მასალა, შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, 2016

მურიელ სავილიე-ტროიკე, შესავალი მეორე ენის ათვისებაში, Cambridge University Press, მეორე გამოცემა, წიგნი ითარგმნა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ, თბილისი 2016

ტაბატაძე შ., ბილინგვური განათლების პროგრამები; რა არჩევანი აქვთ საქართველოში საჯარო სკოლებს, ბილინგვური განათლება, 2010-1, გვ. 7-11

შავერდაშვილი, ე., ფიცხელაური ნ., რამიშვილის, ფ., გვასალიას ., უცხოური ენების სწავლების საფუძვლები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი თბილისი – 2014 წელი